პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---დეკემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან VII კვარტალში კორპ. #3 მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის ექიმის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან VII კვარტალში კორპ. #3 მიმდებარედ არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ექიმის იოსებ ჟორდანიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


ვაჟა-ფშაველას გამზირი
01.02.103
01.00.287
01.00.018
01.03.668
01.04.044
01.14.04.018.013
01.14.04.018.020
01.14.04.018.010
01.14.04.018.002
01.14.04.016.003
01.14.04.013.066
01.14.04.013.051
01.14.04.013.060
01.14.04.013.053
01.14.04.012.001
01.14.04.016.004
01.14.04.006.001
01.14.04.006.003
01.14.04.021.027
01.14.04.021.001
01.14.04.021.031
01.14.04.017.007
01.14.04.017.008
01.14.04.022.010
01.14.04.021.007
01.14.04.021.018
01.14.04.013.070
01.14.04.013.008
01.14.04.013.027
01.14.04.013.028
01.14.04.013.029
01.14.04.013.002
01.14.04.013.069
01.14.04.013.010
01.14.04.013.068
01.14.04.013.005
01.14.04.013.030
01.14.04.013.003
01.14.04.013.004
01.14.04.013.009
01.14.04.013.001
01.14.04.006.013
01.14.04.006.004
01.00.014
01.00.318
01.01.834
01.01.8
01.02.256
01.02.223
01.02.112
01.00.016
01.00.018
ვარლამ თავდადების ქუჩა
მარიჯანის ქუჩა
244
15
16
16ბ
20
22ა
22ბ
79ბ
1-1ბ
5ბ
25ბ
4ბ
1:18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **19-01240651412**
თარიღი: **05/03/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში შემოსულია შპს ,,ენ ენ სტარის'' დირექტორის წერილი (N10/01240501502-01, 19.02.2024წ), რომელიც ქალაქ თბილისის რომელიმე სკვერისა და ქუჩისთვის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით, აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისის მერის მოადგილეს

ბატონ ანდრია ბასილაიას

შპს „ ენ ენ სტარ“ ის დირექტორის

ნატო ნიჟარაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით ,

გამოჩენილი ქართველი გინეკოლოგის და რეპროდუქტოლოგის, იოსებ ჟორდანიას სახელი ეწოდოს ქ.თბილისში ერთ-ერთ სკვერსა და ქუჩას. ასევე გთხოვთ დახმარებას რათა სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკასთან გამოიყოს ადგილი სიცოცხლის ხეივნისთვის.

იოსებ ჟორდანიას დიდი ღვაწლი აქვს საქართველოში გინეკოლოგიისა და რეპროდუქტოლოგიის განვითარებაში.

მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა მსოფლიოში პირველი ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტი გახდა.

იოსებ ჟორდანიას მოღვაწეობა და ადამიანური გმირობა ნამდვილად იმსახურებს, რომ ქ. თბილისში არსებობდეს მისი სახელობის სკვერი, ქუჩა და სიცოცხლის ხეივანი.

რადგან 1997 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სამედიცინო მიმართულებასთან ერთად რეპროდუქტოლოგიის კათედრა. ასევე უნივერსიტეტთან ბევრი წარჩინებული, ღვაწლმოსილი ექიმი თანამშრომლობს და ვფიქრობთ ეს ადგილი შესაფერისია ჩვენი ჩანაფიქრი განსახორციელებლად.

თქვენი მხარდაჭერით გამოყოფილ ადგილას ჩვენი კომპანია „ენ ენ სტარი“ და

„საქველმოქმედო ფონდი შენთვის“ - რომლის დამფუძნებელიც გახლავთ ექიმი , პროფესორი ნინო მუსერიძე საერთაშორისო, სამედიცინო ასოციაციებთან ერთად სიცოცხლეშივე გაუხსნის ექიმებს ვარსკვლავებს და დარგავს მის სახელზე ენდემური ჯიშის ხეს. ხეზე ჩამოკიდებული იქნება დაფა ღვაწლმოსილი ადამიანის სახელით, გვარითა და QR კოდით.

საქართველოს ბევრი ღირსეული ექიმი ჰყავს , რომლებიც 40, წელზე მეტია ემსახურებიან სიცოცხლის დაცვას, დარგის განვითარებასა, სამეცნიერო საქმიანობას, ახალი კადრების აღზრდას და საქართველოს მიღწევების პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ.

უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია ახლა რეაბილიტაციის პროცესშია, სწორედ ამიტომ ეს წამოწყება დროული შეიძლება იყოს და ერთობლივი ჩართულობით კიდევ უფრო სწრაფად მივაღწიოთ შედეგს: ქალაქს იოსებ

ჟორდანიას ლამაზი სკვერი შეემატოს, ხეივნებითა და ბილიკებით და ბევრი მადლიერი ექიმი გვყავდეს რომლებსაც სიცოცხლეშივე გადაუხადეთ მადლობა.

პატივისცემით

შპს“ ენ ენ სტარი“ -ის დირექტორი

ნატო ნიჟარაძე

16.02.2024

e-mail: varskvlavi.ge@gmail.com

tel : +995 599 550466

address: 48 Mtskheta St, T'bilisi

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032434413**
თარიღი: **09/12/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას 2024 წლის 05 მარტის საქმე #15-032406569-03 დაკავშირებით, რომლითაც შპს "ენ ენ სტარ"-ის დირექტორის ნატო ნიჟარაძის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია დედაქალაქში ერთ-ერთი სკვერისთვის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვაჟა ფშაველას გამზირთან არსებული სკვერის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში იოსებ ჟორდანიას სკვერი) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

იოსებ ჟორდანია

(1895-1962)

პროფესორი, გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ისტორიკოს თედო ჟორდანიას შვილი, იურისტ გიორგი ჟორდანიას ძმა. 1923 წელს ჟორდანიამ დაამთავრა პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. 1939 წლიდან იგი განაგებდა სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. 1942 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის არმიის მთავარ გინეკოლოგად. ამასთან, 1944 წლიდან იყო მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კათედრის გამგე. 1950 წლიდან დაინიშნა მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის მთავარ გინეკოლოგად. 1958 წელს იოსებ ჟორდანია თბილისში გადმოვიდა და იმავე წელს სათავეში ჩაუდგა მისივე თაოსნობით დაარსებულ ქალის ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (1968 წლიდან იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), სადაც მუშაობდა კიდეც სიცოცხლის ბოლომდე.

იოსებ ჟორდანია შეისწავლიდა სამეანო სამსახურის ორგანიზაციას, საშვილოსნოს კუმშვადობის ფუნქციას კლინიკასა და ექსპერიმენტში, მშობიაობის ანომალიებს, ქალის უშვილობის მიზეზების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას და სხვა.

დაიღუპა 1962 წლის 20 აგვისტოს რიო-დე-ჟანეიროში, თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად, როდესაც თავისი მაშველი რგოლი უბილეთო მგზავრ გოგონას დაუთმო.1962 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ქართველი გინეკოლოგი და რეპროდუქტოლოგი იოსებ ჟორდანია. ბრაზილიაში საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციიდან სამშობლოში მომავალი ავიაკატასტროფას ემსხვერპლა. იმ საბედისწერო დღეს, 20 ივნისს, თვითმფრინავი "დუგლასი" დაგეგმილ რეისს ასრულებდა ბუენოს-აირესიდან რიო-დე-ჟანეიროსა (გალეაოს აეროპორტი) და ლისაბონში. გალეაოს აეროპორტში მშვიდობით დაეშვა. 23 საათსა და 3 წუთზე ხომალდი ასაფრენად მოემზადა, რომ პილოტმა გამოაცხადა, პრობლემა გვაქვსო - თვითმფრინავის ცხვირი არ ტრიალებდა... პილოტი მიხვდა, რომ ხომალდი ბილიკის დარჩენილ ნაწილზე ვერ გაჩერდებოდა და მარჯვნივ გადაუხვია... შასის ბორბლები ქვიშაში

ჩაეფლო, ოთხივე ძრავამ დაკარგა ეჟექტორები და მობრუნების კონუსები, რამაც თვითმფრინავი ააჩქარა - დაეჯახა აეროპორტის კედელს, გადაკვეთა მეზობელი ბილიკი და საბოლოოდ ოკეანეში ჩაეშვა. ჯერ ნაპირთან ახლოს, 100 მეტრში დრეიფობდა, შემდეგ კი 8 მეტრის სიღრმეზე ჩაიძირა. ერთი შეხედვით, მდგომარეობა არც ისე რთული იყო, რომ ვინმე დაღუპულიყო. მიუხედავად ამისა, ავიაკატასტროფას 15 ადამიანი ემსხვერპლა - ერთი ეკიპაჟის წევრი და 14 მგზავრი...

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.